



სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის  
დირექტორი

# ბრძანება

11

10

2021 წ.

№ 170

ქ. თბილისი

„დოკუმენტური ფილმის (კონკურსი #2/4) პროექტთა დაფინანსების თაობაზე“ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 16.09.2021 წლის #148 ბრძანებაში შეცდომის გასწორების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლისა და სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ვბრძანებ:

1. გასწორდეს შეცდომა „დოკუმენტური ფილმის (კონკურსი #2/4) პროექტთა დაფინანსების თაობაზე“ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 16.09.2021 წლის #148 ბრძანებაში, კერძოდ შეიცვალოს 1-ლი პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტები და ნაცვლად ფორმულირებისა: „ზ)“**მწიბავი**“ - პროდიუსერი-შპს „ბი აი თი სტუდიო“, რეჟისორი - ანა კვიციანი - 70 115,49 (სამოცდაათი ათას ას თხუთმეტი ლარი და ორმოცდაცხრა თეთრი) ლარით; თ)“**მწარე შაქარი**“ - პროდიუსერი - ააიპ „ზავშვთა და მოზარდთა ჰარმონიული განვითარების ცენტრი“, რეჟისორი - ანა ბარჯაძე - 56 090 (ორმოცდათექვსმეტი ათას ოთხმოცდაათი) ლარით; განისაზღვროს შემდეგი ფორმულირება: „ზ)“**მწიბავი**“ - პროდიუსერი-შპს „ბი აი თი სტუდიო“, რეჟისორი - ანა კვიციანი - 56 090,7 (ორმოცდათექვსმეტი ათას ოთხმოცდაათი ლარი და სამოცდაათი თეთრი) ლარით; თ)“**მწარე შაქარი**“ - პროდიუსერი - ააიპ „ზავშვთა და მოზარდთა ჰარმონიული განვითარების ცენტრი“, რეჟისორი - ანა ბარჯაძე - 70 115,49 (სამოცდაათი ათას ას თხუთმეტი ლარი და ორმოცდაცხრა თეთრი) ლარით;“
2. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6).

საფუძველი: ფილმწარმოების დეპარტამენტის უფროსის ს. დანელიას 11.10.2021 წლის #1-250 მოხსენებითი ბარათი.

დირექტორის  
მოვალეობის შემსრულებელი

მაია ჭილაშვილი